საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაიერი გოტლიბ ზიგფრიდ

ბაიერი (Bayer) გოტლიბ ზიგფრიდ (6. I. 1694, კენიგსბერგი,– 10. II. 1738, პეტერბურგი), გერმანელი ორიენტალისტი, სინოლოგი, სემიტოლოგი.

დაამთავრა კენიგსბერგის უნ-ტი, სადაც შეისწავლა აღმოსავლური ენები, შემდეგ იმავე უნ-ტში ასწავლიდა ბერძნ. ლიტ-რას. 1725 პეტერბურგში მიიწვიეს და აღმოსავლური ენებისა სიძველეთა კათედრა ჩააბარეს. ბ-მა შეადგინა რუს. მეცნ. აკადემიის წესდება, დასაბამი მისცა ე. წ. ნორმანულ თეორიას.

1728 აკად. შრომების პირველ წიგნში დაიბეჭდა ნაშრომი „კავკასიის კედლის შესახებ“, რ-შიც ბერძენ, რომაელ და ბიზანტ. ავტორებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ კავკასიის გაყოლებით არსებობდა კედელი, რ-იც ამიერკავკასიას იცავდა ჩრდილოელი მომთაბარეებისაგან, ამასთანავე, აღნიშნავს, რომ კედელი აშენდა ალექსანდრე მაკედონელის დროს. ავტორი აქვე აღწერს კავკასიის, კერძოდ, საქართვ. ჩრდ. საზღვარზე არსებულ უღელტეხილებს.

ბ-მა რუს. მეცნ. აკადემიის ჟურნ. „კომმენტარიებში“ (IX, 1744) გამოაქვეყნა კიდევ ერთი ნაშრომი X ს. რუსეთის სამხრ. საზღვრებისა და მეზობელი ხალხების შესახებ კონსტანტინე პორფიროგენტის მიხედვით. აქვე, ძვ. ბერძენი ავტორის არიანეს ცნობებზე დაყრდნობით ეხება კოლხეთში და შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ხალხებს – ლაზებს, აფსილებს, აბაზგებს, სანიგებსა და სხვებს.